

### ეთიკა ბიზნესში

საქართველოს ეკონომიკის განვითარების ეროვნული პროგრამის კონცეფციის განმარტება

XXI საუკუნე საქართველოს წინაშე აყენებს მრავალ გამოწვევას, რომელთაგან უმნიშვნელოვანესია ცოდნაზე დაფუძნებული ეკონომიკის შექმნა და განვითარება. დღეისათვის საქართველოს ეკონომიკაში საკმაოდ მოიკიდა ფეხი ბიზნესმა, უფრო მეტად მცირე ბუზნესმა. მიზანშეწონილად მიმანია სტუდენტი კარგად უნდა ერკვეოდეს ბიზნესის, ეთიკისა და ბიზნესის ეთიკის არსში.

სამეცნიერო და სხვა საცნობარო წყაროებში „ბიზნესი“ ინგლისური წარმოშობის სიტყვაა (business) და ნიშნავს საქმიანობას, როგორც პირადი გამდიდრების წყაროს, აქედან „ბიზნესმენი“ (businessman) – პირი, რომელიც ბიზნესს მისდევს.

დღეს სამამულო და საზღვარგარეთულ ლიტერატურაში ცნობილია ბიზნესის სხვადასხვაგვარი განმარტება:

- ბიზნესი – ეს ადამიანის საქმიანობაა, რომლის მიზანია შემოსავლის მიღება თავისი ცოდნის, გამოცდილების, თავისი კაპიტალის გამოყენების დახმარებით, ეს არის ადამიანის პოტენციალის რეალიზაცია ეკონომიკურ ასპექტში, ბიზნესმენის საქმიანობის შეფასების ერთ-ერთი მთავარი კრიტერიუმი არის მოგების მიღება. ეს იმას ნიშნავს, რომ მოგების მიღება შეიძლება დაკავშირებული იყოს მომსახურების გაწევასთან. მოგება გვიჩვენებს ბიზნესმენის საქმიანობის ეფექტიანობას;
- ბიზნესი – ეს საქმის გაძღოლის სისტემა და ადამიანებისათვის საჭირო პროდუქციის, მომსახურების წარმოებაა;
- ბიზნესი – ეს არის წარმოების სისტემა, რომელიც ჩვენ შევქმნით ჩვენი მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად;
- ბიზნესი – ეს არის ფულისაგან ფულის კეთების უნარი, მაგრამ აუცილებლად სასარგებლო მწარმოებლური გამოყენების მეშვეობით;
- ბიზნესი – სხვა არაფერია, თუ არა სამრეწველო, სასოფლო-სამეურნეო, ვაჭრობის, საყოფაცხოვრებო მომსახურების, ბანკის, იურიდიული კონსულტაციის, სამეცნიერო-კვლევით და საცდელ-საკონსტრუქციო დაწესებულების, საგამომცემლო, სასწავლო-საადმინისტრაციო და სხვა საწარმოების თუ დაწესებულების შექმნა.

პროფ. ს. ყამარაულის განმარტებით „ბიზნესი (ინგლ. - business) – საქმე, საქმიანობა, არის საკუთარი ან ნასესხები საშუალებების ხარჯზე განხორციელებული ინიციატივანი, დამოუკიდებელი ეკონომიური საქმიანობა, დაწესებული რისკისა და ქონებრივი პასუხისმგებლობის საფუძველზე, რომლის მთავარი მიზანია მოგების მიღება, საკუთარი საქმიანობის განვითარება, აგრეთვე საქონლის გასაღება, სამუშაოს შესრულება მომსახურების გაწევა. მეწარმის ძირითადი ნიშან-თვისებები, რომლებითაც იგი განსხვავდება ეკონომიური საქმიანობის სხვა ფორმებისაგან, არის:

1. დამოუკიდებლობა, პასუხისმგებლობა, ინიციატივა, რისკი, დინამიკურობა;

2. საწარმოები, ფირმა ან საწარმოთა ერთობლიობა, რომელთა განსაზღვრული სახის საქმიანობის განხორციელების შედეგად ღებულობენ მოგებას.

ჩვეულებრივ ისინი განცალკევებული მცირე და საშუალო ზომის საწარმოებია, რომლებიც ადმინისტრაციულად არ არის დამოკიდებული სახელმწიფო ან სხვა უწყებებზე და ორიენტირებულია ბაზარზე“.

მას შემდეგ, როდესაც სტუდენტებს გააცნობთ ბიზნესის მცნებათა ნაირსახეობას ცუდი არ იქნება, გავარკვიოთ, რა არის ეთიკა და არის თუ არა ის შესაბამისობაში ბიზნესთან.

ეთიკასთან პირდაპირ კავშირშია მრავალი სიტყვა, მათ შორის მორალი, პიროვნების მთლიანობა, პატიოსნება, ჭეშმარიტება, რწმენა, მოვალეობა, კეთილშობილება, ზრდილობა, პატივისცემა, უშიშრობა, სიმამაცე, სიფრთხილე, ღოიანობა, სიკეთე, ერთგულება, ცნობიერება . . . მაგრამ ამ სიტყვების უმრავლესობა აღწერილი ხასიათისაა. ეს სიტყვები სწორია, ღამაზია, მაგრამ კონკრეტული დეფინიციის გარეშე. იმიტომ საჭიროა ეთიკის „სამუშაო“ განმარტება, რომელიც მოგვეხმარება ამ სიტყვებს შორის განსხვავების გამოვლენაში.

ეთიკა ჩვენი პატიოსნების და ფასეულობების უმაღლესი სტანდარტია; ეს სტანდარტი ჩვენს მორალზე, პერსონალურ ფილოსოფიაზე დაფუძნებული. ეთიკა ჩვენი მოღვაწეობისა და ცხოვრების ძირითადი სამუშაო პრინციპია. როგორ ვიქცევით, რას ვაკეთებთ, როგორ მეთოდებს და მიდგომებს ვხმარობთ, პრაქტიკაში როგორ ვიყენებთ ჩვენს მორალს – ეს ყველაფერი ჩვენს ეთიკურ ქცევას განაპირობებს. ამგვარად, ეთიკა მორალის აპლიკაციაა. რამდენადაც მაღალია ბიზნემენის ეთიკური ქცევა, მით უფრო ძლიერია ის. ჰარი გრეი, გაერთიანებული ტექნოლოგიების პრეზიდენტი ამბობს: „ცალკეული ინდივიდუუმების საქციელი განსაზღვრავს ერის საქციელს და სახელს“.

ურ კიდევ სოკრატემ „დიალოგებში“ ყურადღება მიაქცია იმ ფაქტს, რომ ეთიკა თავისი არსით პარადოქსულია. ეთიკის ფილოსოფიური საფუძველი არის კეთილისა და ბოროტის გაყოფა.

სოკრატეს იდეის სიღრმე იმაში მდგომარეობს, რომ ეთიკის სწავლება არ შეიძლება. არ შეიძლება მისით, როგორც აბსტრაქტული სისტემით ხელმძღვანელობა. შესაძლებელია მისი მხოლოდ განცდა. ეთიკა მხოლოდ იმის კოლექტიური „გამოსახულებაა“, რაც ჩვენ განვიცადეთ. შესაბამისად საკუთარი მორალური პრინციპები რომ შეიმუშაოს, საზოგადოებამ ბევრი ცუდი და კარგი სიტუაცია უნდა გადალახოს. ცხადია ეს მტკიცება ეხება ბიზნესსაც, როგორც საზოგადოების ნაწილს.

ის, რაც გუშინ იყო ეთიკური, ხვალ შეიძლება უკვე აღარ იყოს ეთიკური. ნორმებზე დაფუძნებული ეთიკის შექმნის მცდელობები ახლაც მიმდინარეობს, მაგრამ კაცობრიობის მთელი გამოცდილება ადასტურებს, რომ ასეთი რაციონალური კონსტრუქცია ამუხრუჭებს საზოგადოების განვითარებას და ახლის დაბადებას ხელს უშლის.

საქმის მთელი არსი ის არის, რომ ამა თუ იმ მოვლენისათვის მორალური შესფასების მიცემისას, ჩვენ მივდივართ სქემამდე - „სიკეთე-ბოროტება“, ანუ შავ-თეთრ აზროვნებამდე. ცხოვრება კი ადგილზე არ დგას, ის მუდამ იცვლება და შედეგად, კონსტრუქცია „სიკეთე-ბოროტება“ სამკუთხედად - „სიკეთე-ბოროტება-თავისუფლება“ იქცევა. თავისუფლება კი ყოველთვის ეწინააღმდეგება ნორმებს, მათ შორის ეთიკას, როგორც ნორმის დაფიქსირების მცდელობას. ეს ეთიკის პარადოქსია.

ამასთან, ეთიკა იხრება ირაციონალურისაკენ, რადგან ეს არამატერიალური სუბსტანციაა. ჩემი მორალური აღლო მკარანახობს: უსამართლობაა ბონუსების მიცემა მათთვის ვინც კომპანია დაშალა. მაგრამ ეს არარაციონალური შემადგენელია. გონება კი ამბობს: არის კი ეს კანონის დარღვევა? გამოდის, რომ ერთი მხრივ, ეთიკა ეს ჩვენი ემოციებია მეორე მხრივ კი, რაღაც რაციონალური წყობა. ამ სისტემის გაერთიანება არ შეგვიძლია. რა გამოდის? ჩვენ ვცდილობთ „შევაიმოწმოთ“ ესა თუ ის მოვლენა მოძველებული მორალური კოდექსებით, მათი ბრმა მიმდევრობა კი ხელს გვიშლის განვითარებაში.

მაშინ როგორ გავიგოთ სინამდვილეში რა არის ეთიკური და რა არა? კრიზისმა ბევრი რამე გადაგვაფასებინა. გადაფასდება ეთიკის გაგებაც. თუმცა რომელი მიმართულებით – უცნობია, მაგრამ არის პოზოტიური ტრენდი: მეწარმეების თვითშეგნების გაძლიერება. კორპორაციული კოდექსები ეს არის მორალურ-ზენობრივი დილემის გადაჭრის მცდელობა, რომლებიც კანონის მიღმა გადის. ამ თვალსაზრისით ეთიკა არის ბიზნესის უნარი, საკუთარი თავი აღიქვას მის ახლანდელ მდგომარეობაში და საკუთარი განვითარების ვექტორი განსაზღვროს.

ეთიკის კოდექსი გამოიყენება სხვადასხვა პროფესიულ საქმიანობაში შიდა რეგულაციისათვის, როგორც კანონის ალტერნატიული მექანიზმი – სახელმძღვანელო. მას არ გააჩნია კანონის ძალა და ემყარება ადამიანთა ჯგუფის მიერ დადგენილ წესებს, რომლებიც თავის მხრივ ითვალისწინებენ საზოგადოებაში დადგენილ წესებს და საერთაშორისოდ აღიარებულ ნორმებს ამა თუ იმ სფეროში.

ნიუ-იორკის ბირჟაზე კრიზისის დაწყების შემდეგ ამერიკელები კანონის, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, დოგმების სრულყოფის გზას დაადგინენ. ბრიტანელებმა კი ეთიკურ ნორმებზე მუშაობა დაიწყეს. რა თქმა უნდა, მათ არ აქვთ იურიდიული ძალა და არვინაა ვალდებული მათ დაემორჩილოს, მაგრამ დამრღვევებმა უნდა ახსნას თავისი საქციელი.

თუ ამ ლოგიკას გავეყვებით, მაშინ ბიზნესში ეთიკა წარმოჩინდება, როგორც კოლექტიური თვითშეგნების ფორმა და ბიზნესი ეთიკური იქნება ზუსტად იმდენად, რამდენადაც მისი თვითშეგნებაა განვითარებული. ასეთი ეთიკური სისტემა გახდება მუდმივად ცვალებადი კოორდინატთა სისტემა, რომელსაც თავად ბიზნესი დაარეგულირებს.

ბიზნესში ბევრი არაეთიკური პიროვნება მოღვაწეობს, მაგრამ არ შეიძლება ამის გამო გავაკრიტიკოთ უპირობოდ ყველა ბიზნესმენი. მცირე და მსხვილ ბიზნესში გაცილებით მეტნი არიან მაღალეთიკური ბიზნესმენები.

ქვეყანამ, რომელიც ამაყობს თავისუფალი ბაზრით, თავისუფალი მრეწველობით, თავისუფალი შემოქმედებით, არ შეიძლება იცხოვროს ისე, რომ ბიზნესის ეთიკა მერყეობდეს ფარგლებში - სწორი და არასწორი. ბიზნესს და ერს, ორივეს ჰქმნის ინდივიდები, რომლებმაც ყოველთვის უნდა იხელმძღვანელონ ეთიკური წესებით: როგორ იცხოვრონ და როგორ აკეთონ ბიზნესი?

პეტერ დრაკერი, თანამედროვე ბიზნესის მენეჯმენტის ერთ-ერთი ფუძემდებელი, ამბობს: „თუ გარკვეული მოქმედება ლეგალურია, ეს კიდევ არ ნიშნავს, რომ ის ეთიკურია“. ეს ძალიან გავრცელებულ გამოთქმად იქცა. რა თქმნა უნდა, არ უნდა არსებობდეს განსხვავება ეთიკურსა და ლეგალურს შორის: ყველაფერი ლეგალური იმავდროულად ეთიკური უნდა იყოს. მაგრამ ასეთი განსხვავება მართლაც არსებობს. როცა ბიზნესი შეჯიბრის გარემოში კეთდება,

წარმატების მისაღწევად, ხშირია მოწინააღმდეგის დაჯახება. ეს ხდება დიდი მოგების მიღების მიზნით. მაგალითად, ერთი მილიონი დოლარიდან ხუთი მილიონი დოლარის მისაღებად. ასეთ პირობებში ძალიან ძნელია მაღალ ეთიკაზე საუბარი და ეთიკის მაღალი ნორმების დაცვა.

როგორ უნდა გავიგოთ: არის გარკვეული საქციელი სწორი, ტაქტიკური ნაბიჯი, თუ მის უკან სკურპულოზურად გათვლილი, მხოლოდ მოგებაზე ორიენტირებული, კომერციული წინადადებაა?

ერთ-ერთი გზა, სწორი პასუხის მისაღებად, არის ვკითხოთ საკუთარ თავს: შეიძლება, რომ ეს ნაბიჯი წამგებიანი აღმოჩნდეს ბიზნესისთვის, რომელიმე ინდივიდუუმისთვის? როგორ შეხედავენ ამ საქციელს ჩვენი მეგობრები, ჩვენი გუნდის წევრები? ჩათვლიან, რომ რასაც ჩვენ ვაკეთებთ, ეთიკურია? შეაფასებს ჩვენი ოპიზიცია ამ საქციელს, როგორც ეთიკურს? არის კი ჩვენს საქციელში ჯანსაღი შეჯიბრების სული?

„შეიცან თავი“ - ძველი წელთაღრიცხვის VII-VI საუკუნეების სპარტაში ბრძენი ქილონის ეს ქადაგებანი ყველა ეპოქის ადამიანის სახელმძღვანელო დევიზია. მისი მნიშვნელობა განსაკუთრებით დიდია თანამედროვე პირობებში. სწორედ რომ ბიზნესის დამწვები პიროვნების უპირველესი ამოცანაა, ვიდრე ბიზნესს მოკიდებს ხელს, შეიცნოს საკუთარი თავი. საკუთარი „მე“-ს შეცნობა, კრიტიკული შეფასება და მის საფუძველზე გონივრული გადაწყვეტილების მიღება წარმატებული ბიზნესის ამოსავალი წერტილის საწყისი ეტაპია. დამწვები ბიზნესმენი იძულებულია თვითონ შეაფასოს საკუთარი უნარ-ჩვევები.

ბიზნესის ძირითადი მიზანი მოგების (სარგებელის) მიღებაა. მაგრამ, როცა მოგება წარმატების ერთადერთი საზომი ხდება, ჩვენ ვკარგავთ მორალურ ფასეულობებს. თუ არაეთიკური ბიზნესის შედეგად იქმნება არასწორი სიტუაციები, რომლებიც სცილდება ჯანმრთელ შეჯიბრს, ჩვენ ჩავფიქრდებით, ღრმა განცდა გვეუფლება. ჩვენს თვალწინაა უზარმაზარი ეკონომიკური მონსტრები, რომლებიც მომავალშიც იარსებებს. ასეთ მონსტრებს შორის პირველია: ეროვნული ვალი და ვაჭრობის დეფიციტი. როდესაც ვეცნობით ეკონომიკურ და სოციალურ პრობლემებს, გვიჭირს შევიქმნათ მათზე სწორი შეხედულება, სწორი აზრი. ძნელია წარმოიდგინო მილიონი ან, მითუმეტეს, ტრილიონი დოლარი. მაგრამ არ შეიძლება დაგხუჭოთ თვალი იმ ფაქტზე, რომ ამ ეკონომიკურ და სოციალურ პრობლემებში ჩართულია უამრავი ადამიანი, და, ამგვარად, ეკონომიკური და სოციალური პრობლემები რეალურად ადამიანის პრობლემებია. ამ პრობლემების გადაჭრა ადამიანების ღირებულებაზეა დამოკიდებული, ხოლო ასეთ ღირებულებებს ვქმნით ჩვენ, თქვენ. ჩვენი ეკონომიკური პრობლემები მემკვიდრეობით გადავა ჩვენს შვილებზე, გავლენას მოახდენს მათ მომავალზე, მათ სურვილზე ისწავლონ კარგ უნივერსიტეტებში ან იყიდონ სახლი; ისინი იმოქმედებენ ჩვენი მშობლების ჯანმრთელობაზე, ჩვენს შესაძლებლობაზე კარგად მოვუაროთ მათ. ამიტომ რიცხვები არ არის მხოლოდ გამოსახულება ქაღალდზე, მათ უკან ადამიანებია.

კარგია, თუ მოგება თანაარსებობს სოციალურ პასუხისმგებლობასთან. მეტიც, ასეთი თანაარსებობა აუცილებელია. მაგრამ ეს თანაარსებობა განსაკუთრებით იგებს, თუ მას თან ერთვის ეთიკის მომენტი და თანაგრძნობა. არ არის ადვილი იყო მაღალეთიკური. ძალიან ძნელია ყოველთვის იცხოვრო მაღალი სტანდარტებით. გარემოებები ყოველდღე გვაყენებს არჩევანის წინაშე: ავირჩიოთ მაღალი ეთიკა და რთული გზა, ან შედარებით მარტივი და ნაკლებად

ეთიკური გზა, ან გადავუხვიოთ სწორი გზიდან, ან დავხუჭოთ თვალი ეთიკურ საკითხზე თუნდაც ერთი წუთით. არაეთიკური ქცევა ვლინდება ყოველდღე, სხვადასხვა სახით. ჩვენ ვხედავთ ასეთ ქცევას, შეგვიძლია მასზე მსჯელობა, უარყოფითი აზრის გამოთქმნა, დაგმობა. მაგრამ მხოლოდ აღნიშნო, რომ ეს საქციელი არაეთიკურია და არ შეეწინააღმდეგო მას – ასევე არაეთიკურია: არანაკლები და ხანდახან უფრო დესტრუქციული, ვიდრე თვით არაეთიკური საქციელი.

ნებისმიერი ეთიკური საქციელი ყოველთვის კარგი მაგალითია. ერს ექნება ბრწყინვალე მომაგალი, თუ ჩვენ გვეყოფა ძალა და გამბედაობა აღვზარდოთ ბიზნესმენები, რომლებიც ეთიკას პირველ ადგილზე დააყენებენ. თუ ეთიკური პიროვნება ხართ, თქვენ ყოველთვის მიიზიდავთ სხვა პიროვნებებს და ვინაიდან გამორჩეულობა უშუალო კავშირშია ეთიკასთან, თქვენ იქნებით ერთ-ერთი, ვინც გვიხელმძღვანელებს და ვისაც ეყოლება მიმდევრები.

#### ბამოყენებული ლიტერატურა წყაროები:

1. თეთრუაშვილი მ., თეთრუაშვილი ზ., თეთრუაშვილი ი. საკუთარი ბიზნესი: პირველი ნაბიჯები. გორი, 2008 წ.
2. ჟვანია ი., კიკნაძე გ., ლიდერი და ლიდერობა, თბ., 2008 წ.
3. ყამარაული ს. უნივერსალური ბიზნეს-ლექსიკონი; „მეცნიერება“ თბ., 2001 წ.
4. ხიზანიშვილი ს., ყულიჯანიშვილი ა., წიქაძე ლ. საქმიანი ურთიერთობის კულტურა; საქ. ტექნიკური უნივერსიტეტი, თბ. 2007 წ.
5. ჭიაბრიშვილი თ, პატიოსანი ბიზნესისაკენ, თბ. თსუ-ს გამოცემა, 2003 წ.
6. Петрунин Ю. Ю., Борисов В.К. Этика бизнеса. М. 2007 г.